ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.11.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 078/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ხ. ვ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. ვ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 09 ნოემბერს საჩივრით მომართა ე. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ ხ. ვ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2022 წლის 01 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

1.2 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 28 წლის განმავლობაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მეუღლესთან - ა. გ.-სთან. ე. ს.-ს განცხადებით, ა. გ.-ის გარდაცვალების შემდეგ, სამართლებრივი პრობლემა შეექმნა სამკვიდროს მიღებასა და გარდაცვლილი მეუღლის ქ. თბილისში გადმოსვენებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც, საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატ ხ. ვ.-ს. ე. ს.-ს განცხადებით, ადვოკატი უნდა დახმარებოდა ქორწინების ფაქტის დადასტურებაში.

1.3 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მხარეთა შეთანხმებით, მათ შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და 2021 წლის 08 ივლისს ე. ს.-მ ადვოკატ ხ. ვ.-ს გაუფორმა მინდობილობა (სანოტარო აქტი N), რომლის მიხედვით, რწმუნებულს მარწმუნებლის ინტერესები უნდა წარმოედგინა სამივე ინსტანციის სასამართლოში, მარწმუნებლის ქონებრივი და/ან არაქონებრივი ინტერესების დასაცავად.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მხარეთა შეთანხმებით საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 1000 ლარი, რაც კლიენტმა სრულად გადაუხადა ადვოკატს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ხ. ვ.-მ გარანტია მისცა საქმის შედეგებზე; დააიმედა, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგი დადგებოდა და შეძლებდა დაემტკიცებინა, რომ საჩივრის ავტორი ნამდვილად იმყოფებოდა ა. გ.-სთან ქორწინებაში, რაც ე. ს.-ს მთავარ ინტერესს წარმოადგენდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად აწარმოა საქმე, კერძოდ, უდავო წარმოების წესით, მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე - ქორწინების ფაქტის დადგენა. 2021 წლის 05 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დადგენილება (საქმე N) უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი 05 თვის განმავლობაში ატყუებდა, რომ დადგებოდა კლიენტისათვის სასურველი შედეგი, რაც სიცრუეს წარმოადგენდა, ვინაიდან ადვოკატისათვის ცნობილი იყო, რომ სასამართლო უდავო წარმოების წესით ადგენს უკვე რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს. იმის გამო, რომ ე. ს. და ა. გ. იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაედგინა არარეგისტრირებული ქორწინების ფაქტი.

1.8 საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 01 თებერვლის სხდომაზე განმარტა, რომ მის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინირება და სურს გადახდილი საადვოკატო ჰონორარის დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ხ. ვ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 19 ნოემბერს. ადვოკატი დაესწრო 2022 წლის 08 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

2.2 ადვოკატმა ხ. ვ.-მ დაადასტურა მასსა და ე. ს.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფაქტი. ადვოკატის განცხადებით, მხარეთა შეთანხმებით საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 2000 ლარი. საქმისწარმოების დასაწყისში კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა 1000 ლარი, ხოლო დარჩენილი 1000 ლარი ე. ს.-ს ადვოკატისათვის მოგვიანებით უნდა გადაეხადა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით, ე. ს.-სათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სამემკვიდრეო საკითხზე და მის საკუთრებად აღერიცხა კლიენტის მეუღლის კუთვნილი ავტომობილი, თუმცა ე. ს.-მ აღნიშნული საქმისწარმოება შეაჩერა, ვინაიდან მისთვის პრიორიტეტული იყო ქორწინების ფაქტის დადგენა და ადვოკატმაც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი არ ითვალისწინებდა მის მითითებებსა და რჩევებს, ადვოკატის სტრატეგიას სხვა პირებთან განიხილავდა და მოქმედებდა მათი მოსაზრებების შესაბამისად.

2.5 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს უდავო წარმოების წესით კლიენტის ნების შესაბამისად მიმართა და მოითხოვა ქორწინების ფაქტის დადგენა. ადვოკატის განცხადებით, კლიენტისათვის საქმის შედეგებზე გარანტია არ მიუცია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ადვოკატ-კლიენტის წარმოშობიდან 05 თვის გასვლის შემდეგ, ე. ს.-მ დაურეკა და აცნობა, რომ აღარ სურდა მისთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია ადვოკატ ხ. ვ.-ს და მოსთხოვა საქმის მასალებისა და გადახდილი ჰონორარის დაბრუნება.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ხ. ვ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო, ბავშვთა უფლებები.

3.2 ე. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 09 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 2022 წლის 11 თებერვალს საჩივრის ავტორმა ე. ს.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატთან მორიგდა და ადვოკატმა ხ. ვ.-მ დაუბრუნა გადახდილი ჰონორარის ნაწილი - 700 ლარი, რის გამოც, ადვოკატ ხ. ვ.-სთან მიმართებით აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს მის საჩივარზე საქმის წარმოება.

4.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ხ. ვ.-ის მიმართ შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

4.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N078/21 ადვოკატ ხ. ვ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/